ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N15/01/24

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ სს „ფრანს ავტო" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ფალიანის სახით სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება #26 21.01.2011წ) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების („RENAULT DUSTER" სახ. NQZ937QQ (VIN კოდი VF1HJD40568465321) და „RENAULT DUSTER" სახ. NQZ939QQ (VIN კოდი VF1HJD40768534154), გამოშვების წელი - 2021წ) შეკეთება-ტექნიკური მომსახურება. (კლასიფიკატორის კლასის კოდი 50112000) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება #26 21.01.2011წ)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **3000 (სამი ათასი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. მომსახურების განფასების ცხრილი - დანართი N1

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ეტაპობრივ მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. ეტაპობრივ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: გიორგი მამიაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს **2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ მოცულობით, რომლის აუცილებლობაც დადგება მომსახურების კონკრეტულ ეტაპზე.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2025 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

15. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბოლნისის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE65LB0120184309307000

David Sherazadishvili Digitally signed by David Sherazadishvili
Date: 2024.01.08 13:10:12 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი.:
დავით შერაზადიშვილი

„მიმწოდებელი“
სს „ფრანს ავტო“
ქ. თბილისი, ბესიკის ქ. N4
ს/კ 236098165
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE25BG0000000254559400

RENAULT Digitally signed by George Paliani
Date: 2024.01.08 13:58:40 +04'00'

დირექტორი:
გიორგი ფალიანი

დანართი №1

საგარანტიო ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების განფასების ცხრილი

ა/მანქანის მარკა მოდელი რენო დასტერი 1.5 დიზელის ძრავით (დამატებითი)

№	*სათადარიგო ნაწილების დასახელება*	*გარბენი*	*ერთეულის ფასი*	*რაოდენობა*	*მომსახურების ფასი*	*შენიშვნა*
1	სავალი ნაწილის შემოწმება				20	
2	ხელის მუხრუჭის რეგულირება				80	
3	წინა საყრდენი დისკი		480	1 კომპ.	80	
4	წინა საყრდენი დისკის მოხეხვა			1 კომპ.	80	(შლიფოვკა)
5	უკანა საყრდენი დისკი		870	1 ცალი.	70	
6	უკანა საყრდენი დისკის მოხეხვა			1 ცალი.	80	(შლიფოვკა)
7	ბურთულა სახსარი (შარავოი)	ახალს არ ეცვლება	95	1 ცალი.	80	
8	დაკიდების ბერკეტი (წინა გიტარა)		535	1 ცალი	80	
9	დაკიდების ბერკეტის მილისა (წინა გიტარის ვტულკა)		55	1 ცალი.	45	
10	თვლების ნახარის რეგულირება				50	
11	გაბარიტის ნათურა (დიდი)		15	1 ცალი	10	
12	გაბარიტის ნათურა (პატარა)		5	1 ცალი	10	
13	ახლოს მაშუქი ნათურა	ახალს არ ააქვს	20	1 ცალი	10	

14	შორს მაშუქი ნათურა		20	1 ცალი	10	
15	სანისლე ფარის ნათურა ჰ 16		95	1 ცალი	35	
16	სანისლე ფარის ნათურა ჰ 11		55	1 ცალი	35	
17	უკანა სტოპის ნათურა		10	1 ცალი	10	
18	მოხვევის მაჩვენებლის ნათურა		10	1 ცალი	10	
19	სალონის სტოპის ნათურა		10	1 ცალი	5	
20	სამუხრუჭე სითხე		25	0.5 ლიტრ	160	2 წელი
21	ანტიფრიზი		35	1 ლიტრი	40	2 წელი
22	წყლის სისტემის გამორეცხვა (აპარატით)				250	
23	ანტიფრიზის შემოწმება				5	
24	მაცივარ აგენტი (ფრეონი)		25	100 გრ.	50	
25	შეჭიდების ქურო დისკი		870	1 კომპ.	550	
26	მოჭიდების საკისარი		680	1 ცალი	550	
27	შეჭიდების მახავიკი (მოძრავი)		5470	1 ცალი	100	მოხსნილ კოლოფზე
28	საბურავის დისკის გასწორება მარტივი			1 ცალი	25	
29	საბურავის დისკის გასწორება საშუალო			1 ცალი	45	
30	საბურავის დისკის გასწორება რთული			1 ცალი	65	
31	საბურავის მოხსნა-დაყენება			1 ცალი	5	
32	საბურავის დაშლა-აწყობა			1 ცალი	10	
33	საბურავის ბალანსირება			1 ცალი	10	
34	საბურავის შეკეთება მარტივი			1 ცალი	25	

35	საბურავის შეკეთება საშუალო			1 ცალი	45	
36	საბურავის შეკეთება რთული			1 ცალი	65	
37	წინა საქარე მინის ვაიპერი		195	1 კომპ.	10	
38	უკანა საქარე მინის ვაიპერი		95	1 ცალი	5	
39	საქარე მინის ყინვა საწინააღმდეგო სითხე		20	1 ლიტრი	2	
40	შუქების ჩამრთველი სახელური		450	1 კომპ.	60	
41	საყვირი		135	1 ცალი	60	
42	ელ; სისტემის დიაგნოსტიკა				30	
43	ელ; შუშების ამწევი და ჩამომწევი ღილაკი		295	1 ცალი	60	
44	ელ; შუშების ამწევი და ჩამომწევი ღილაკის აღდგენა				180	
45	ელ; სისტემის შეკეთება მარტივი				80	
46	ელ; სისტემის შეკეთება საშუალო				400	
47	ელ; სისტემის შეკეთება რთული				800	
48	ელ; სისტემის პროგრამირება				350	
49	ჭვარტლის მარეგულირებლის (დროსელის) ინსტალაცია				250	
50	გამონაბოლქვში ჭვარტლის მარეგულირებელი (დროსელი)		2280	1 ცალი	250	
51	მაყუჩის მოხსნა-დაყენება				180	
52	ჭვარტლის ფილტრის სარეცხი სითხე		95	1 ცალი	150	
53	ამძრავი (სტარტერი)		1670	1 კომპ.	200	
54	ამძრავის მოხსნა-დაყენება				200	
55	ამძრავის დაშლა-აწყობა				130	
56	ამძრავის ჩოთქები		250	1 ცალი	60	
57	ამძრავის იაკორი		290	1 ცალი	80	

58	ამძრავის (ავტომატი)		135	1 ცალი	80	
59	ამძრავის (ბენდექსი)		185	1 ცალი	80	
60	ელ; გენერატორი		2460	1 კომპ.	200	
61	ელ;გენერატორის (რელე + ჩოთქები)		275	1ცალი	80	
62	ელ; გენერატორის დაშლა-აწყობა				80	
63	ელ; გენერატორის საკისარი № 1		250	1 ცალი	80	
64	ელ; გენერატორის საკისარი № 2		190	1 ცალი	80	
65	წინა ბამპერის მოხსნა-დაყენება		185		150	
66	შესადუღებელი სამუშაო მართივი				60	
67	შესადუღებელი სამუშაო საშუალო				150	
68	შესადუღებელი სამუშაო რთული				250	
69	უკანა დაკიდება (უკანა შტანგა)		360	1 ცალი	80	
70	უკანა დაკიდების მილისა (უკანა შტანგის ვტულკა)		95	1 ცალი	40	
71	მაყუჩის გოფრე		160	1 ცალი	180	
72	მაყუჩის სამაგრი რეზინის ბალიში		135	1 ცალი	35	
73	წინა მორგვის საკისარი (წინა სტუპიცის საკისარი)		230	1 ცალი	90	
74	უკანა მორგვის საკისარი (უკანა სტუპიცის საკისარი)		215	1 ცალი	120	
75	წინა ამორტიზატორი		360	1 ცალი	70	
76	უკანა ამორტიზატორის		330	1 ცალი	70	
77	წინა ამორტიზატორის ბალიში		95	1 ცალი	70	
78	წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი		95	1 ცალი	70	
79	წინა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი)		95	1 ცალი	70	
80	უკანა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი)		95	1 ცალი	70	
81	ამორტიზატორის ზამბარა		230	1 ცალი	70	
82	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა		95	1 ცალი	45	ახლებს არ ეცვლება

83	მშრალი ამორტიზატორი (კომპლექტში)		1735	1 კომპ.	120	
84	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა		85	1 ცალი	35	
85	წინა სტერჟინი		140	1 ცალი	55	
86	უკანა სტერჟინი		135	1 ცალი	45	
87	წევა (უდარნი ტიაგა)		140	1 ცალი	65	
88	წევა მტვერდამცავი(უდარნი ტიაგის პილნიკი)		90	1 ცალი	65	
89	წევის დაბოლოვება (ნაკანეჩნიკი)		135	1 ცალი	65	
90	გადაცემათა კოლოფის დაშლა-აწყობა				750	
91	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება				550	
92	ძრავის ბალიში (დიდი)		395	1 ცალი	160	
93	გადაცემათა კოლოფის ბალიში ქვედა		190	1 ცალი	55	
94	გადაცემათა კოლოფის ბალიში ზედა		230	1 ცალი	180	
95	ჰიდრავლიკის ნასოსი		3765	1 ცალი	350	
96	ჰიდრავლიკის ნასოსის ინსტალაცია				250	
97	ჰიდრავლიკის სითხე		35	1 ლიტრი	60	
98	კონდენციონერის რადიატორი		1680	1 ცალი	180	
99	წყლის რადიატორი		1270	1 ცალი	180	
100	წყლის გაგრილების ვინტილიატორი		1280	1 კომპ.	180	
101	ტურბინის რადიატორი		1490	1 ცალი	180	
102	სალონის ფეჩის რადიატორი		780	1 ცალი	850	
103	ტორბედოს მოხსნა-დაყენება				850	
104	წამყვანი ღერძის კომპლექტი (პოლიუსი)		1890	1 კომპ.	120	
105	წამყვანი ღერძის მტვერდამცავი გარე (პოლიუსი პილნიკი)		115	1 ცალი	120	
106	წამყვანი ღერძის მტვერდამცავი შიდა (პოლიუსის პოლნიკი)		95	1 ცალი	140	

107	წამყვანი ღერძის კომპლექტი (პოლიუსი)მოხსნა-დაყენება			1 ცალი	120	
108	წამყვანი ღერძის საკისარი		250	1 ცალი	180	
109	წინა (ხიდის მოხსნა-დაყენება)				350	
110	წინა (ხიდის) ჩობალი № 1		140	1 ცალი	60	
111	წინა (ხიდის) ჩობალი № 2		140	1 ცალი	40	
112	უკანა (ხიდის) ჩობალი		140	1 ცალი	80	
113	უკანა (ხიდის) საკისარი		140	1 ცალი	60	
114	გადაბმულობა (კარდანი)		1980	1 კომპ.	120	
115	უკანა (ხიდის) მოხსნა-დაყენება				550	
116	სიჩქარის კულისა		1360	1 ცალი	350	
117	კონდენციონერის კომპრესორის მოხსნა-დაყენება				350	
118	კონდენციონერის კომპერსორი		3580	1 ცალი	350	
119	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი				250	
120	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშუალო				450	
121	კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული				750	
122	საწვავის მრფქვევანა		1180	1 ცალი	60	
123	საწვავის მრფქვევანას ინსტალაცია			1 ცალი	50	
124	საწვავის ტუმბო		1590	1 ცალი	200	
125	საწვავის ავზის და სისტემის გამორეცხვა				450	
126	უკანა სამუხრუჭე ავზი (ბაჩოკი)		290	1 ცალი	80	
127	სამუხრუჭე ხუნდების სამაგრი		180	1 ცალი	60	
128	ხელის მუხრუჭის (ტროსი)		160	1 ცალი	180	
129	ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტოსიაძე სტანდარტული				125	სტანდარტული

130	ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტოსიაძე (ობობა)				185	(ობობა)
131	ევაკუატორის მომსახურება რეგიონებში			1 კმ	2.60	
132	მინების დამუქება მარტივი				300	
133	მინების დამუქება საშუალო				400	
134	მინების დამუქება რთული				500	
135	ქარ ამრიდი (გვერდითა შუშების წვიმისგან დამცავი)		580	1 კომპ.	80	
136	ძრავის ზეთის გამაგრილებელი რადიატორი (გოჭი)		1280	1 ცალი	750	
137	რეზინის ფეხსაგები		195	1 კომპ.	0	